ცოცხალი

ფასი: წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 3 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილათ. სახლერარგარეთ წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტროიქონი პირველ გვერდზე პატარით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კვეესიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტროიქონი პატარა ტიპაჟის წინ. 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სალამის 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანეთი.

კვირა 15 ივნისი

მისამართი: ქუთაისი, რედაქციის „ი მ ე რ ე თ ი“ თვალისის ქუჩა, ფარადაგის თაშაქის ქარხნის პარალელურ შესახვევში, სახლი ოცხელაძისა.

ტელეფონი № 4.

№ 80 ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე 1914 № 80

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღერმეს მწუხარებაში მყოფნი ნატალია სტეფანეს ასული კაკაბაძისა, ილიკო, ვალიკო, კირილე და აკაკი დიმიტრის ძენი, კატო, მატრონა, ქსენია და ანიკა დიმიტრის ასულნი კაკაბაძეები, ალექსანდრა ეფრემის ასული კაკაბაძისა, ბორისი ილიას ძე კაკაბაძე, გიორგი და ვასილი მაქსიმეს ძენი კაკაბაძეები მეუღლეებითურთ, გიორგი სტეფანეს ძე ჯაჯანიძე და რაფდენ ბესაბორონის ძე გოფოძე, აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებსა და ნაცნობებს, პირველი უსაყვარლესის ქმრის, მეორენი ძვირფასი და დაუვიწყარი შვილის, მესამე ძვირფასი მამამთილის, მეოთხე საყვარელი ბაბუასი, მეხუთენი ძვირფასი ძმისა და მაზლისა, მეექვსე დაუვიწყარი სიძის და მეშვიდე საყვარელი ბიძის

დიმიტრი მაქსიმეს ძის კაკაბაძის

გადაცვალებას, რომლის გამოსასვენების დღეც დანიშნულია კვირას, 15 ივნისს, ნაშუადღევის 4 საათზე სოფელ კუხში, საკუთარი სახლიდან კუხის მაცხოვრის ეკლესიაზე. პანაშვიდები ყოველდღე საღამოს 7 საათზე.

„რადიუმი“

ხუთშაბათიდან, 12 ივნისიდან, ახალი პროგრამა.

პატე ჟურნალი № 273-ა

ყავის პლანტაციები

ვარსკვლავი გენიისა

თანამედროვე დრამა სამ ნაწილათ, მხატვრული სურ. პარიზის დიდი ოპერის ნაპოკოვსკის არტისტ ქალის მონაწილეობით.

მონადირის ნიძლავი

კომიკური.

შარდე მილისა და ბუშტის ელექტრონით განაოება (ცისტოსკოპით) ათაშანგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეტი. ელექტრონის ბანაობები. მიღება დილის 9—12 საათ. და საღ. 5—7 საათ.

მისამართი: ქორავლისა და პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

ქ. ქუთაისში
კბილის ექიმი
ს. ა. ცეიტლინი.

კბილის და პირის ავათმყოფობა. ხელოვნური კბილების კეთება.
მიიღების ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და 4—7 საათ. საღ. ბალახვანის ქუჩა. სახაზინო პალატის გვერდით.

სამკურნალო აბანო.

ძმ. ეფ.რეფლაძეების

სადგურ ხრესილში (სერნია ვოდში) ტეიბულის რკინის-გზის შტოზე

თქვენი თვალით იხილეთ და დარწმუნდებით.

ეს წყალი, როგორც ნამდვილათ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობისაგან, უმეტესათ კი: ქარების, (რევმატიზმის) თავის, კუჭის ტკივილისაგან, ნერვების სისუსტისაგან, ჩაყოლილი ციებისაგან (მალარიისაგან) და ავრეთვე აღორძინებს სუტ ადამიანებს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც, ხსენებული აბანო მდებარეობს ტეიბულის რკინისგზის შტოზე სადგურ „სერნია ვოდში“. აბანო არის სადგურზე დაშორებული 150 საჟენით, მისვლა-მოსვლა და ხაბაკის გადახდა ძლიერ იოლია, ვინაიდან ქუთაისიდან დღეში ორჯერ გადის და მოდის მატარებელი სადგურ „სერნია ვოდში“ იქვე სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველვეზე ზომიერია. აბანო მუდმივ მუშაობს.

ქუთაისი.

თ. მთავრიშვილის და ამხ.

წიგნისა და საკანცელარო ნივთების მაღაზიაში

იყიდება ყოველგვარი სახელმძღვანელო ქართულსა და რუსულ ენაზე შედგენილი. მაღაზიას მუდმივ მოსდის ახალ-ახალი რუსული და ქართული წიგნები როგორც რუსეთის ცნობილი ფირმებიდან, ისე საქართველოს ყოველი ქალაქიდან—დაბეჭდვასთანაც. მაღაზიაში არის ყოველგვარი საკანცელარიო ნივთი, სახატავი და საწერი რვეულები საკუთარი ფირმისა. პროვინციის მოთხოვნილებას მაღაზია დაუყოვნებლივ აკმაყოფილებს. მაღაზია ღებულობს ხელის მოწერას ყველა რუსულსა და ქართულ ჟურნალ-გაზეთზე.

ქუთაისი

პირველი პერძო სამკურნალო

სპეციალისტი ექიმებით.

მუდმივი საწოლებით თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.

ავათმყოფნი ბინიღებენ ყოველდღე:

დილით.

პროფესორ-დოცენტი ხარგოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის მეადგილის დოკტორი ვ. ვ. ჟოსეფოვი შინაგანი და ნერვიანი.

ბ. ა. მირაქოვი—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული.	1— 2
გ. ს. ნადარეიშ.—შინაგანი და ბავშის	10—11
ს. ს. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებო ყოველ ღამ	11—2
მ. დ. ბეთსოფი.—კანის, თაშაშანგი, ვენერ.	12—2
ვ. ს. ზოდოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ.	12½—2ვ

საღამოთ.

გ. ლ. ქორქაშვილი—თვალის ხუთშაბათობით	4½—5½
ვ. ს. ზოდოშვილი—საბებო, ქალთა და შინაგ.	5½—6/

სამკურნალოსთან მოწყობილია საკ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესაბოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა. 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები ძმიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩეკი 10 შაური, ოპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი № 53

სამკურნალოს დირექტორი—ვ. ს. ზოდოშვილი

თუთხმეტ მაისიდან გაიხსნა

კურსების მაღლეული წელის

აბანო.

რომელიც იმყოფება ბელეთის სადგურის მახლობლათ, სადაც პლატფორმაა არჯანიძის მატარებლების გასაჩერებლათ. პლატფორმიდან ეს ორმოცდა ათი საჟენი აბანოდი. ქუთაისიდან მოითხოვეთ ბილეთი არჯანიძესთან. ბილეთი პლატფორმაზი მესამე კლასის 23 კაპ. და მეორეში 7 შაური ღირს.

ზემოხსენებული **კურსების აბანო** იმყოფება მშვენიერ ბუნებით შემკულ მაღალ ადგილზე, და როგორც ნამდვილ გამოკვლეულია კურნავს მრავალს სხვადასხვა ავათმყოფობას, როგორც მაგ., ქარებს (რევმატიზმის), ტანზე დაყრილ მუწუკებს, ნერვების სისუსტეს, ბავშების საკმაწვილოს. გიმაროი,—სიყვითლეს და ვენერიულ ავათმყოფობას. ავრეთვე რგებს სასმელათ კუჭის ტკივილს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. არის სუფთა მოწყობილი ვანები, მასთან სუფთა საცხოვრებელი ოთახები და სასმელ-საჭმელი ძრიელ ზომიერ ფასებში.

პატივსცემით **გ. მ. არჯანიძე.**

ქართული ენა.

ქართულ სკენის მოღვაწეთა ყრილობის დადგენილებათა შორის ყურადღებას ერთი დადგენილება იპყრობს, რომელიც ყრილობამ შემდეგ სიტყვებში გამოხატა: „სცენაზე და დრამატიულ ლიტერატურაში გამბატონებულ უნდა იქნას ქართული სალიტერატურო ენა და განდეგილნ უნდა იქნას პროვინციალური ჟარგონი“, არა გვგონია ასეთი რეზოლუცია საჭირო ყოფილიყო ფრანგ სცენის მოღვაწეთა, ან რუს სცენის მოღვაწეთა ყრილობაზე. თავისთავად ცხადია, რომ სცენაზე ენა ლიტერატურული უნდა იყოს. ან რაც უფრო გასაკვირია, მსახიობმა ენა კარგად უნდა იცოდეს. მაგრამ როცა ჩვენ სცენის მოღვაწეთა ყრილობა ასეთ ტრუიზმს იმეორებს—ამას თავის საფუძველი აქვს, არსად ენა ისე არ არის შერყვნილი, როგორც ჩვენში საზოგადოთ და კერძოთ სცენაზე. სად არის ამის მიზეზი? იმის თქმა, რომ ჩვენმა მსახიობებმა ლაპარაკი არ იციან, უსამართლობაა. ვლ. მესხიშვილის ქართული, ან მ. საფარავრის გამოთქმა კლასიკური ქართულია. მაშასადამე ჩვენ ახალგაზდა მსახიობებს ჰყავთ თავისი მასწავლებლები, რომელთაგანაც შეუძლიათ ნამდვილი ქართულის შესწავლა. თუ ასეა, მაშ საიდან გაჩნდა ჩვენ სცენაზე ის, რასაც ყრილობა თავის რეზოლუციაში „ჟარგონს“ ეძახის? ამაში დამნაშავენი მსახიობები კი არ არიან, რომელთა ენასაც რეპრეზენტაციონ ბრძოლას უპირებენ, დამნაშავეა მთელი ჩვენი ლიტერატურა საზოგადოთ და კერძოთ დრამატიული.

მოიგონეთ რითი დაიწყო ქართული თეატრი? გ. ერისთავის პიესებით, რომლებშიც ჟარგონს დიდი ადგილი აქვს დათმობილი. ამას ვერ ასცდა აქვს. ცაგარელი და ამ რიგად ორმა ჩვენმა საუკეთესო დრამატურგმა ისეთი მდგომარეობა შექმნეს სცენაზე, რაკა საუკეთესო კომიკმსახიობათ ის მსახიობი ითვლებოდა, რომელიც უფრო მეტად დაამახინჯებდა ქართულს აგრეწოდებულ სომხურ „ყაიდაზე“.

როდესაც სომხური „ყაიდა“ ქართულის ენისა საკმაო არ გახდა ქართველ მაყურებელისთვის, მას მიაშველეს იმერული, გურული, ტატიური და სხვა გამოთქმა-ჟარგონები. ამ რიგათ ქართველი მსახიობი ქართულმა მწერლობამ ჩააყენა უხერხულ მდგომარეობაში. რეზოლუციის სიტყვები—„სცენაზე გამბატონებულ უნდა იქნას ლიტერატურული ქართულიო“—გაუგებარი დარჩება მსახიობისთვის, რადგანაც რეზოლუცია არ საზეგრავს, რომელია ლიტერატურული ქართული? აიღეთ ჩვენი საუკეთესო ბელეტრისტები: ა. ყაზბეგი მოხეურ გამოთქმას დიდ ადგილს უთმობდა თავის ნაწარმოებში, დავ. კლდიაშვილი სწორედ იმერულ გამოთქმაში ჰპოვებს თავის ჰუმორს, ეგნატე ნინოშვი-

ქუთაისი

პირველი პერძო სამკურნალო

სპეციალისტი ექიმებით.

მუდმივი საწოლებით თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.

ავათმყოფნი ბინიღებენ ყოველდღე:

დილით.

ბ. ა. მირაქოვი—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული.	1— 2
გ. ს. ნადარეიშ.—შინაგანი და ბავშის	10—11
ს. ს. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებო ყოველ ღამ	11—2
მ. დ. ბეთსოფი.—კანის, თაშაშანგი, ვენერ.	12—2
ვ. ს. ზოდოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ.	12½—2ვ

საღამოთ.

გ. ლ. ქორქაშვილი—თვალის ხუთშაბათობით	4½—5½
ვ. ს. ზოდოშვილი—საბებო, ქალთა და შინაგ.	5½—6/

სამკურნალოსთან მოწყობილია საკ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესაბოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა. 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები ძმიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩეკი 10 შაური, ოპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი № 53

სამკურნალოს დირექტორი—ვ. ს. ზოდოშვილი

სპეციალური წიგნის მაღაზია

კოსტანტინე ივ. ძის ოცხელისა და ამხ.

(ქუთაისში.)

აცხადებს, რომ იგი იწერს დიდძალ წიგნს რუსეთისა და საქართველოს ფირმებისაგან, რომლებზედაც მას აქვს პირდაპირი და სადავთიანი დამოკიდებულება, და გამოწერილ წიგნებს უკეთებს საუკეთესო ყდას ახლად გამართულს საკუთარ საკაზმავ სახელოსნოში.

ამის გამო ეს, როგორც სპეციალურს და უფიდეს წიგნის მაღაზიას ქუთაისში, ეძლევა საშუალება დაუთმოს წიგნები მეტად საღავთიანი პირობებით ყველა განმანათლებელ დაწესებულებას: შკოლებს, ბიბლიოთეკებს, საჭვითხველოებს და სხვ. პროვინციის წიგნის მაღაზიებს მიეცემათ ის დათმობა, რაც შეუძლიათ მთ მიიღონ რუსეთიდან წიგნების პირდაპირი გამოწერით, თუ იგინი ერთი თვით ადრე დაიკვეთენ წიგნებს.

მსურველთ ეგზავნებათ უფასოდ ქართულისა და რუსული წიგნების ახლად შედგენილი კატალოგები.

წიგნის მაღაზიის გვერდით გამართულია საუკეთესოთ მოწყობილი **საკანცელარიო მაღაზია დ. ოცხელისა**, სადაც მოიპოვება ყოველგვარი საკანცელიარიო და სასწავლო ნივთი მეტად ზომიერ ფასად.

ექიმის ივ. ბოკერიას

საავთმყოფო

გადაეყვა ახალ ბინაზე ეთოელ ხიდთან, მისეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწოლ ავათმყოფებს დებულობენ ყოველ დროს.

დოკტორი მედიცინისა, პრივატ-დოცენტი **ვ. ვ. მოსეშვილი** ჩამოვიდა და ღებულობს შინაგან და ნერვების ავათმყოფებით სნეულებს დილის 9 საათ.—ნაშუადღევის 2 საათამდი.

გოშპატლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი № 6.

ჯგუფი სტუდენტ სპეციალისტებისა უსწორებს გაკვეთილებს და ამზადებს მოწაფეებს ყველა საშუალო საწავლებლებისათვის. იფრესი: ქარავსლის ქუჩა ჩარქოვის სახლი № 13.

ექიმი ა. მ. ასათიანი ღებულობს ავათმყოფებს. **ქალს, ვაჭრიშვილი** (სიფილისი) და შინაგანის. სამარდ ბუშტის გაშინჯვა ელექტრონის შემწეობით (ცისტოსკოპით).

ექიმი ბ. ა. მირაქოვი დაბრუნდა რუსეთიდან და გაახლო ავათმყოფების მიღება ყურის ცხვირის და ყელის.

დილის 9 ს.—12 ს., საღ. 5—8. ლევაშოვის ქუჩა საკუთარი სახლი № 19, შეიძლება ივანოვის ქუჩიდანაც № 18.

ექიმი ი. ჩარქვიანი იღებს **კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს** მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს ექიმი საავთმყოფოშია.

მისამართი: კაკურინის ქუჩა, ბოდეგიის გვერდით, ფარადაგის სახლში. თ.

ვ. უნივერსიტეტის მედიცინის ექიმი ვ. ი. ქაკაბელაშვილი სახლდვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებიანნი) ავათმყოფების მიღება. საშარდე მილისა და ბუშტის ელექტრონით განაოება (ცისტოსკოპით) ათაშანგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეტი. ელექტრონის ბანაობები. მიღება დილის 9—12 საათ. და საღ. 5—7 საათ.

მისამართი: ქორავლისა და პუშკინის ქუჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

ლი „კი გურულათ“ სწერდა, თუ შეიძლება ასე ითქვას. იმის თქმა რომ ამ მწერლების ენა ლიტერატურული არ არის— შეუძლებელია, რადგანაც თვით „ჟარგონიც“ ლიტერატურულ ენად ჩაითვლება, თუ კი ის მხატვრულად არის შესრულებული. მხატვრობას კი ზემო დასახელებულ მწერალთა ნაწარმოებს ვერვინ გამოსწვრავს. ასეთი მწერლები კი ჩვენ მრავლად გვყავს, მათი ნაწარმოები სკეწნაზე გადადის და ამრიგათ ჟარგონს მსახიობები კი არა ჰქმნან, მწერლები. ამიტომ, თუ ყრილობის რეზოლუცია სავალდებულოა მსახიობებისთვის, უფრო მეტად სავალდებულოა მწერლებისთვის.

ის მოვლენა, რომ ჩვენი მწერლები პროვინციალურ გამოთქმებით სწერენ გაცილებით მეტია, ვიდრე „ჟარგონი“. ეს არის ლიტერატურული პარტიკულიარიზმი ენისა, რომელსაც დასაწყისი ჩვენ წარსულ პოლიტიკურ პარტიკულიარიზმში აქვს. მთელ ჩვენი ცხოვრება საგრძნობლად შეიცვალა, გაერთიანება ქართველის ერისა, მის ყოფილ სამთავროთა და სამეფოთა უკვე მოხდა. ეკონომიური და პოლიტიკური პარტიკულიარიზმი წარსულს ჩაბარდა, წარსულსავე უნდა ჩაბარდეს განსხვავება ლიტერატურული მართლწერისა და გამოთქმისა. მაშასადამე, ჩვენ უნდა შევქმნათ ერთი ენა, ერთი მართლ-წერა და ერთი გამოთქმა, ეს არის უდიდესი მოვალეობა არა მარტო ჩვენი ლიტერატურისა, ჩვენი პოლიტიკურის შეგნებისა. განათლებული გურული, მეგრელი, იმერელი და ქართველი ერთის ენით და ერთის პრინციპით უნდა ლაპარაკობდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ უფლება გვაქვს ასეთი ქართველი გაუნათლებელ ქართველათ ჩავთვალოთ, რომელმაც „ლაპარაკიც კი არ იცის“. აქ გასაოცარი არაფერია! ფრანგი, რომელიც მეთვრამეტე საუკუნეში პარიზის სალონში ბრტყნელ გამოთქმით ილაპარაკებდა „მოვე-ტონის“ სახელს დაიმსახურებდა. ამიტომ ყოველი ახალგაზდა პროვინციელი უპირველესად ენას სწავლობდა პარიზში. ის დადიოდა თეატრში, რომ გაეგო ენა რასსინისა, კითხულობდა ვოლტერს, რომ შეეთვისებინა მისი სტილი და ამ რიგად ფრანგი გამხდარიყო.

სამწუხაროდ არც ჩვენი ახალგაზდობა იძღვევა ამის ნიშნებს, არც ჩვენი მწერლობა. ეს ჩვენ კულტურულ და პლატიურ გაერთიანებას ავიანებს. გაერთიანებას კი ისე არავინ საჭიროებს, როგორც ქართველი ერი. ვერავითარი პოლიტიკური იდეა ვერ გაგვაერთიანებს, თუ ერთი ქართული იერი არ შევქმენით. ეს იერი უნდა გამოიხატებოდეს ჩვენს ბსიხიაკში და ფიზიკაში. თუ ორი ქართველი ერთმანეთს არა ჰგავს თავის სხეულით, ერთი მათგანი უკვე დეგენერატია, თუ ორი ქართველი ერთნაირად არ ლაპარაკობენ, ერთის ენით და ერთის გამოთქმით, ერთი მათგანი ჯერ კიდევ ქართველი არ არის. აი რას უნდა ჩაუფიქრდეს მთელი ჩვენი ახალგაზდობა! ამაზედან უნდა იფიქროს ჩვენმა ლიტერატურამ და ერთი ენის შექმნით ქართველ ხალხს ერთი ფსიხიკა და ერთი ფიზიკა უნდა მისცეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ შევქმნით ერს.

შ. ამარეჯანი.

ჩვენც მოგვისმენეთ!

„ცხოვრებ“-ს ბოლოგულ ნუმერში არის მოთავსებული წერილი ქუთაისის „შუშების და ნოჭრების“, სადაც ჯეტორება ხაზს უსმენ ამ გარემოებას, გითხრეს ი. ეკლოშვილს სადამოსთვის ქუთაისის **მთელ დემოკრატიას** გამოეცხადებიან ბოიკოტ და შეგიჩერეს ვ. ბუხაძისთვისაც ქუთაისის **ეგეცა** შუშა-ნოჭრებს დაკვალებიანთ თავის „წარმოდგენელისთვის“, ხსენებულ სადამოზე მოწაფდეობას ნუ მიიღებო. გეკეგორს ამ შუშა ნოჭრებს ასეთი მოქმედება.

ი. ეკლოშვილის სადამოზე შუშებიც ბევრი დაეს ნოჭრდა და ნოჭრებიც, რომელნიც, ცხადია, ნოჭრთა ერთი ნაწილის მიერ გამოცხადებულ ბოიკოტს არ თანხეგრძნობდენ. მაშასადამე, ეს ნება ჰქონდა ამ ხალხ „ბოიკოტისტებს“ **ეკეკლა შუშა-ნოჭრისა და მთელი დემოკრატიის სახელათ სწერონ**, იდასპარეზონ და ხაზიც კიუსეს ამ გარემოებას? მთა უფრო, რომ თვით **დასვენ** შუშა-ნოჭრთა შორისაც არიან ისეთები, რომელნიც ხსენებულ ბოიკოტს გმობენ.

ნოჭარა გიორგი შაგდა.

ვბეჭდავთ ამ წერილს იმის დასამტკიცებლათ რომ, უღრმესად პატივცემული „ტალღისა“ და „აზრის“ რედაქციები უღრმესს უდიერობასა და ნამდვილ ინკვიზიტორულ ხრიკებსა ხმარობენ, რომ თავის მკითხველების თვალში დაგვმცირონ მე და ევლოშვილი. ჩვენ შევნიშნეთ ამ ფრიად ღირსშესანიშნავ რედაქციებსა და მის **უჩანარ თანამშრომლებს**, რომ წინასწარ განზრახულის აზრით სტყუიან უსინიდისოთ, უმართებულოთ, როცა მე და ევდოშვილს „მაგრაზმელებსა და რეგატებს გვიძახიან“, აბრიყვებენ და რაყნიან თავის მკითხველებს, როდესაც ჩასჩიჩინებენენ, რომ ვითომც ჩვენ „მთელმა ქუთაისის დემოკრატიამ გამოგვიცხადა ზიზღი, ან ი. ევდოშვილის სადამოს „დემოკრატია არ დასწრებია“ და სხვა და სხვ..

ზემორე დასტამბული წერილი ბ-ნ გიორგი შავდიასი ნათლად მოწმობს „ტალღა-აზრის“ თანამშრომელთა უკეთურობასა, უმდურობას და სიცრუეს, ესეც წერილი ნათლად ამხილებს ვიდაც „მუშა ბილიუმსა თუ გვირილებს“, რომ ისინი მაგზეზარის როლს კისრულობენ, როცა თავის გულუბრყვილო მკითხველებს დაუმსახურებლათ აძულებენ ჩვენ თავს და საგონებლათ ხდიან ამისთანა ადამიანის სახეს, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე და **სუსტი** ძალ-ონე ქართველი ხალხის სამსახურისათვის შეუწირავს...

იდეური სხვადა სხვაობა შავრაზმელობას არ ნიშნავს, შავრაზმელობაა ის, როდესაც კაცი თავისს პირად სარგებლობისათვის ქვეყნის საქმეს ახდენს და ეროვნობისთვის ყოველ გვარ ავაზაკურსა და ინკვიზიტორულ ზომებსა ხმარობს. ვარწუხენენ „ტალღა-აზრის“ რედაქციებს, რომ ისეთივე სიმკაცრით გამოვილაშქრებდი იმათ წინააღმდეგ, ვინც, მაგალითად ვ. ბუხაძესა, ან „ქუჩაშვილ— ტაბიძეებს გამოუცხადებდა (ან გამოუცხადებს) ბოიკოტს, როგორც გამოვილაშქრე ი. ეკლოშვილის აბუჩად ამგდებთა წინააღმდეგ. რათა? იმიტომ რომ, ჩემის აზრით, მწარალი ფასდება არა მის „პარტიულ რწმენით“, არამედ მისს სამწერლო იდეალით. „პარტია და დასელობა“ დროებითი მოვლენაა, სამწერლო იდეალი კი უკვდავია. მოვა დრო, როდე იგივე „დასელები“ სულ სხვა—ჩვენგან წინდაწინვე არჩეულ-ჰანგზე დაიწყებენ მღერას (ეს ჩემი ღრმა რწმენაა) იმიტომ, რომ კაცი-ადამიანი თავის თავს ვერსად გაექცევა და თუ უნდა რომ სხვა გაბაღნიერის, ჯერ თითონ უნდა იყოს ბედნიერი, სულით მშვიდი, გულ-მართალი, შეგნებული და შესმენილი. ეს ბუნების კანონია და ამის წინააღმდეგ ვერც ერთი „დასელი“ ვერ წავა, ზე-კაცეც, დეკვმირიც რომ იყოს იგი! დიახ, მოვა დრო და „მუშა ბილიუმს“ თითონვე ეტყვის, რაზედაც უთიოებენ „სოციალ-დემოკრატ ნოჭრებს“ მათი დღევანდელი მოძღვარნი, არამედ ისიც, რომ ჩვენ დამონავებული, დაბეჩავებული, დამცირებული და ღარიბ-ღატაკი ხალხი ვართ. თითოეულ ჩვენგანს კი სწყურია სიცოცხლე, სიცოცხლე ადამიანური, ბედნიერი და რაკი დაქანქალონი ვართ, ეკმარებით ამას, ვინც უფრო ბევრ ლაბანლაბან სიტყვებსა და ოქროს წყალში დაფერილ ოცნებებს გვიყავაკებს.

ცხოვრება კი სადაა, ულმობელი, მისი კანონები ბარდუველია. ცხოვრება უზარმაზარ ქარვასლასა ჰგავს, თუ კიბიდან არ დაიწყე ასვლა ამ ქარვასლაში და პირდაპირ სახურავზე მოინდომე დასკუპება, ტყვილად თვალები დაგბრიცება, მუხლები ჩამგაზდეგდა, დარტყინდები და ვიდრე გონს მოხვიდოდე, ქარვასლა სხვა ხალხთან გაივსება და შენ კი დარჩები ხახამშრალ მონად, მონად მთელ შენ სიცოცხლეში, მონად საშვილიშვილოთ... აი ამიტომ ვგმობ იმ ვაკბატონებს (თუნდაც ჩვენ-შვილებს) რომლებიც გზა კვალს უბნევენ ჩვენ ხალხს და ერთობისა, შეგნებისა და სამართლიანობის ნაცვალთა, ქართველ ხალხში შეაქვთ განხეთქილება, შური და მტრობა. აი ამიტომა ვგმობ ნოქართა იმ „ჯგუფსაც“, რომელმაც ი. ევდოშვილს ბოიკოტი გამოუცხადა და უსირცხვილოთაც იკვეხის!...

სხვაგან, შესმენილ ქვეყანაში, ამ გვარ საქციელისათვის მთელი ერი სირცხვილით დაიწოდა და ჩვენში კი ბაკიაობენ კიდეც! განა ეს **შეუგნებლობა არ არის**, განა ეს სამარცხვინო არ არის?

მაშასადამე, რა ნება აქვთ ვიღაც „მუშა ბილიელს“ ჭეშმარიტების მღალადებელი ჯვარს აცვან, ისე როგორც ჯვარს აცვეს ილია ჭავჭავაძის სახელს და მის წმინდა ხსოვნას... ვინაიდან ილ. ჭავჭავაძის „სისხლით ვაჭრობასაც“ კი ჩვენ გვაბრალებენ „მუშა ბილიელი“. „ჩემი ძენ ბიხთარ, გული მოგიკალო“—სწორედ ამასა ჰქვიან. ღმერთმა შეიდობა მოგცესთ, „მუშა ბილიელო“! მხოლოდ ნურც ის დაგავიწყდებთ, რომ არის მეორე თქმულებაც: „ქაცოლს რომ ყური დაუკდო, დღეში ათჯერ გატყდებაო“.

გატყდა თუ არა „ტალღის“ მესამე ნუმრის მეთაურის ავტორი და მისი თანამშრომელი „მუშა ბილილა“ ეს მკითხველებისათვის მინიდვია!..

მაგრამ, ვიმეორებ: ერთხელ კიდევ, მოვა დრო, „მუშა ბილილებს“ თვალები აეხილებათ და მაშინ თვითონვე ამოიკრავენ ცხეირში ხელს.

მინამდი კი ჩვენ ვიელით ჩვენის გზით —ჩვენის ხალხის, დემოკრატიის, (და არა სოციალ დემოკრატების, რასაკვირველია,) გამოფხიზლებისა და აღორძინების გზით...

აა ეკალაძე.

ერთ ტაფაში.

(**ჩუქურთმიდან**).

ეგენი შენთაგან შენდა შემწირველნი
ოგეელთა და ოთოგლისთვის.

წარსულმა ქარტეხილმა სატუსაღოს ფარეთ, დაბალ, ნესტიან, ოთახში სხვადასხვა მიმართულების, სახის, მდგომარეობისა და ხასიათის ხალხი შეგვყარა.

ვბაასობდით, ვკამათობდით; გვსურდა ერთმანეთი დაგვეჯერებინა, ჩვენს მხარეზე გადმოგვეყვანა; მაგრამ კამათი უსიამოვნებით თავდებოდა, ერთხელვე აღსარებულ აზრს კერპათ ვხდიდით.

გავიბუტეთ.

ხმასაც ადარ ვსცემდით ერთმანეთს.

— ყმაწვილებო,- გვითხრა ერთხელ მოხუცმა თავადმა—ასეთს ვიწრო სივრცეზე უბრათ ცხოვრება შეუძლებელია. მგლურათ ცქერა შეიძლება, როცა ადამიანი დღეში ერთხელ წუთით შეხდება არა სასიამოვნო პირს; ჩვენ კი ან უნდა შეერიგდეთ, ან ხელჩართული ჩხუბი გავმართოთ; ან დავხოცთ ერთმანეთს, ან გადაგვიყვანებენ სხვადასხვა საკანში, დაგვარიგებენ ჭურდებსა და ლოთებთა შორის. უკეთესი კი იქნება, მივაღოვოთ, რაც საკამათო გვაქვს; ვილაპარაკოთ, ვიმეგობროთ, ვიდრე ერთ ჭერს ქვეშა ვართ მოწყალეულნი.

თავადს თითქმის არავინ ემდუროდა; მასთან კავშირი არვის შეუწყვეტია; არც არავის ჰქონია მისი ჯავრი ან ეინი, თუმცა არცერთს შეხდილა ან იზიარებდა და ხშირათ ზხამაანი დაცინვა იცოდა... მაგრამ ყველა მოხიბლული იყო დინჯი, ჩვეულებრივ ზრდილ, ენა-წყლიანი ადამიანის მიერ... ყველა დარწმუნებული იყო, რომ იგი გაჭივრების დროს, თუ მოუბლისა, თავს არ დაიზოგავს უბრალო ნაცნობისათვისაც კი; რომ საიდუმლოს არათუ არ გასცემს ხეპრეთ, სათუთად მოეკიდება და სამარესავით დამარხავს. ჩვენს გამოურკვეველ მდგომარეობაში კი „გულის მოფხანა“, რჩევის ძებნა, ტყელი, უმიზნო ლაპარაკი უმაღლესს მოთხოვნილებას შეადგენდა...

სატუსაღოში ყველა მეკორეთ ხდება.

ჩვენი შერიგება ძნელია... რა უნდა მოეწახოთ ისეთი, რაც ყველასთვის საყურადღებო, და თანაც ენაუშვერებამდის არ მიგვიყვანდეს?

— სიყვარული!—მოკლეთ უპასუხა ტუსაღმა—მგოსანმა პროტესტანტს.

თანახმა ვარ! -დაადასტურა თავადმა.

თავადი ძლიერ ეშვიათად ლაპარაკობდა ნაზ-გრძნობებზე; თავის დღეში ენა არ დაუძრავს პირად სიყვარულზე. ბუნდოვანთ გაგვეგონა თავადის რომანიული და რომანტიული თავგადასავალი. მაგრამ ახლა, ახლა იგი მხოლოდ მუსაიფობდა, ირონიულად იღიმოდა, და, თუ სადმე ჩარჩენილი ჰქონდა ძირ-მწარე და კვლავ ტკბილი მოგონებანი, არ ეფიქრობდით.

ბუნდოვანათვე ვიცოდით, რომ წინათ მეგობრებსა და ნაცნობებს თავადის დიდი იმედი ჰქონდათ; რომ თვითონაც თავადი ოდესმე თამამად ვიდოდა ცხოვრების გზაფხულის გზაზე... მაგრამ მიიკარგა... სახეც ხანელიც.

ასე ჯიბეი გადმოიხედავს სალ კლდიდან ლაღი და შეუპოვარი... გავარდება დამიზნებული თოფი... მიიმალება კლდეთა მეუფე... და, ვინ იცის, დაჭრილი ჯიხეი სულს ღაფავს, თუ სხვა კლდეს შეაფარა სიკვდილს გადარჩენილი თავი.

— როგორ?—კითხა ვიღამაც.

— უბრალოთ: ვილაპარაკოთ სიყვარულზე,—უპასუხა ისევ თავადმა.

— მოსაწყენია, თავადო...

— სრულიადაც არა... ზოგი გვიამბობს, რა გადახედია სიყვარულის გამო, ზოგი თუ რა უნახავს, გაუგონია ან წაუკითხავს. — განმარტა თავისი სიტყვები მგოსანმა.

— რომ ვილაპარაკოთ, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ არსებობს სიყვარული... სადაა, როდის გინახავთ?

— რამდენი არ გვინახავს, მაგრამ, გვწამს...

— თქვენ კი გწამთ?

— მე პირადათ შეეკამათა თავადი— წამს ისე, როგორც ბრილიანტის არსებობა... უმრავლესობა კაკობრიობისას არც კი გაუგონია, რომ არსებობს ბრილიანტი; მხოლოდ უმცირესობას უნახავს; სულ მცირე რიცხვს აქვს ნადელი ბრილიანტი; და მართლაც სახარბიელო უნაკლული ხუთიექვსია... რაც ძვირფასია, იგი ცოტაა; რაც მშვენიერი, იგი არ არის გავრცელებული... ზოგს უყვარს ჰურის მარცვლის ოდნათ... ზოგი კი... საკუნტალია, დანტე, რომეო, ნესტანი—უნიკუმებია. რა თქმა უნდა, ბევრი ვერა-კი გიოგებს ბარათაშვილის ლექსს:

შეეიშრომ ცრემლსა, ჭირთ მანელეგელს,
გულსა დავიწვავ დასანაცრებელს,—
და მისსა ფერფლსა, ვითა საკვეელს,
შევსწირავ სატრფოს, ჩემსა საყვარელს,
მაგრამ სწორეთ მით არის სიყვარული მაღალი და მშვენიერი, მომხიბვლელი და სანეტარო, რომ ყოველ ორფეტ ცხოველს არ შეუძლია“იგი შეიშნოს, იგრძნოს, იგემოს. ამბობენ და წამიკითხავს, მეცნიერი, როცა ახალ ეეშმარიტებას მიაგნებს და ხელოვანი დაამთავრებს თავის ქმნილებას, წარმოუდგენელ ნეტარებას განიცდისო. მე არ მიგრძვნია ასეთი რამ—თავადს რაღაც ნაწყენობა დაემნია—მაგრამ მესმის... მრწამს, რომ სუფევს... უმაღლესი აზრით აღფრთოვანებულნი ზოგჯერ ღიმილით და სიხარულით მიდიან საწამებლათ... არ მიმოქმედნია ასეთი რამ — ტუჩების ქვეშ ორმა ნაოჭმა დაკვირებულ მაცქერალისთვის თავდის ხვაშიდი გამოამეღლენა—მაგრამ მესმის... არ მქონია მილლიარდები, მაგრამ ხომ არის როკფელლერი, კერნეგეი...

სიყვარული მცირეთა ხვედრია, და ღმერთმა ნუ ქმნას, ჩვეულებრივ მოვლენად გამხდარიყოს!

— წარმავალია სიყვარული!...—უხეშათ ჩაუთხო ვიღამაც.

— რა მერე?—ვერ მოითმინა მგოსანმა და არ აცალა თავადს, რომელიც პასუხის მიცემას აპირებდა, წარმავალია ყველაფერი... მზე, ადამიანი, რწმენა... ზზეს სინათლე აკლდება... ადამიანი კვდება... ირღვევა საუკუნოებით შემუშავებული რჯული, მეცნიერული თეორიები, ხელოვნების ნამოქმედარნი... ვინ იცის ქვეყნად რამდენი ჰიმალოსი იყო, ვინ იცის რამდენი მილოსელი ვენერა დაიმტვრა და რამდენი ჯიოკონდა დაიხა.... მაგრამ კაკობრიობაზე ჭკნნდათ მათ გაგლენა და შეუგნებლათ მათი ვიკვებებით ახლაც. სიყვარული აფაქიზებს კაცს; იგი კაცს ადამიანად ხდის....

— შეიძლება იმით, რომ გულში სტოვებს სამარადისო ჭრილობას—ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა თავადმა.

— Время все лечить! —უადგილოთ წამოროშა ვიღაკამაც.

— ამის თქმა მხოლოდ გაუთლელ რუსს შეეძლო.—ჩაერია ბაასში ჟურნალისტი—მოსჭერით თუნდ ორი წლის ბავშს ხელი, ენა, დაბრმავეთ იგი. შეიძლება მაინც გასძლოს მრავალი წელი... დრო ვერ განკურნავს... მწარე ფიქრი არ მიბოლავებს... არის წყლული, რომელიც არ რჩება... უწმაწილა და უნუგეშო... მე ადამიანზე ვლაპარაკობ... რომლითაც თავისივე პირი წაიბილწა...

,,ია ეკალაძე ი. ევდოშვილს რომ გამოესარჩლა, ამითი თავის თავს იცავსო!“ ბრძანება გაზეთი „ტალღა“, მეორე თუ მესამე ნუმერში. განა ვისგან ბაქეს თავი დასაცველი? იქნება იმ თქვენგან გაბოროტებულ და აზავთებულ ჯგუფისაგან, რომლებიც შემოხვევიან თქვენ რედაქციას, თორემ ვისთვის რა დამშვენება, რომ თავი დავიცვა? თავის თავისა და თავის სახელის დაცვა იმასა სჭირია, ვინც მოღალატეა ხალხისა, ერისა, ერთობისა, ძმობისა, თანასწორობისა, სამართლიანობისა, ხალხთა განკაცებისა, ყოველივე სიკეთისა და მარტო თავის ქვეყნაგრძნობებზე ჰფიქრობს.

მე კი, მადლი ჩემ გამჩენს, სულითა და გულით მეჯავრება ასეთი ადამიანი და შეძლებისა და გვარად არც ვერიდები მის მხილებას. ამის მოწმეა ქართველი მკითხველი საზოგადოება, ამის მოწმეა თუნდა ის გარემოება, რომ სიმართლის თქმისათვის ღამის ჯვარს მაცვან ,,მუშა ბილიელმა“ და მისმა დამქაშებმა!...

რათა?

იმიტომ, რომ თამამათა ვსთქვი ,,ფეხები თავის ადგილს ვერ დაიკერენ და ქუთაისის ,,მთელ დემოკრატიას“ მასხარათ იგდებენ ისინი, ვინც მათ სახელით ლაპარაკობენ მეთქი“. განა ტყუილი ვსთქი? განა ბ-ნ გიორგი შავდიას წერილი არ ადასტურებს ჩემს ნათქვამს? განა ვცდები, როდესაც ნოქართა ერთ ჯგუფს, ერთ ნაწილს შეუსმენელი ვუწოდე?

თუ კი „ნოკრობაში“ გამოიხატება მხოლოდ შესმენა, გამხდეთ მეც, ბატონებო, ნოქართა და მიმსახურეთ, მაგრამ, ვაი, რომ, ეს ასე არ არის? შესმენილი, თავის კლასის ინტერესების დამცველი ნოკარი თავის დღეში ვერ იქნება **სოციალდემოკრატი**. რათა და რისთვის? ამას თითონვე ჩაუფიქრდენ ქუთაითური ნოკრები. მე არა მცალია „ორჯელ ორის“ დამტკიცებისათვის. ვიტყვი მხოლოდ: **,,რენეგატობა“, უჯაცრავად, სამძიანჯე სწორედ ასარის**, რომ ნოკარი, თუ იგი შესმენილია, სოციალდემოკრატობდეს და წვინდა წყალის დემოკრატს კი აუფათ იხსენებდეს, ლანძღავდეს და აგინებდეს. მაგრამ ჩვენში ხომ ყველაფერი ყირამალა კეთდება, რასაც თავისი ღრმა მიზეზები აქვს, არა ბარტო ის, რაზედაც უთიოებენ **,,სოციალ-დემოკრატ ნოქრებს“** მათი დღევანდელი მოძღვარნი, არამედ ისიც, რომ ჩვენ დამონავებული, დაბეჩავებული, დამცირებული და ღარიბ-ღატაკი ხალხი ვართ. თითოეულ ჩვენგანს კი სწყურია სიცოცხლე, სიცოცხლე ადამიანური, ბედნიერი და რაკი დაქანქალონი ვართ, ეკმარებით იმას, ვინც უფრო ბევრ ლაბანლაბან სიტყვებსა და ოქროს წყალში დაფერილ ოცნებებს გვიყავაკებს.

ცხოვრება კი სადაა, ულმობელი, მისი კანონები ბარდუველია. ცხოვრება უზარმაზარ ქარვასლასა ჰგავს, თუ კიბიდან არ დაიწყე ასვლა ამ ქარვასლაში და პირდაპირ სახურავზე მოინდომე დასკუპება, ტყვილად თვალები დაგბრიცება, მუხლები ჩამგაზდეგდა, დარტყინდები და ვიდრე გონს მოხვიდოდე, ქარვასლა სხვა ხალხთან გაივსება და შენ კი დარჩები ხახამშრალ მონად, მონად მთელ შენ სიცოცხლეში, მონად საშვილიშვილოთ... აი ამიტომ ვგმობ იმ ვაკბატონებს (თუნდაც ჩვენ-შვილებს) რომლებიც გზა კვალს უბნევენ ჩვენ ხალხს და ერთობისა, შეგნებისა და სამართლიანობის ნაცვალთა, ქართველ ხალხში შეაქვთ განხეთქილება, შური და მტრობა. აი ამიტომა ვგმობ ნოქართა იმ „ჯგუფსაც“, რომელმაც ი. ევდოშვილს ბოიკოტი გამოუცხადა და უსირცხვილოთაც იკვეხის!...

სხვაგან, შესმენილ ქვეყანაში, ამ გვარ საქციელისათვის მთელი ერი სირცხვილით დაიწოდა და ჩვენში კი ბაკიაობენ კიდეც! განა ეს **შეუგნებლობა არ არის**, განა ეს სამარცხვინო არ არის?

მაშასადამე, რა ნება აქვთ ვიღაც „მუშა ბილიელს“ ჭეშმარიტების მღალადებელი ჯვარს აცვან, ისე როგორც ჯვარს აცვეს ილია ჭავჭავაძის სახელს და მის წმინდა ხსოვნას... ვინაიდან ილ. ჭავჭავაძის „სისხლით ვაჭრობასაც“ კი ჩვენ გვბრალებენ „მუშა ბილიელი“. „ჩემი ძენ ბიხთარ, გული მოგიკალო“—სწორედ ამასა ჰქვიან. ღმერთმა შეიდობა მოგცესთ, „მუშა ბილიელო“! მხოლოდ ნურც ის დაგავიწყდებთ, რომ არის მეორე თქმულებაც: „ქაცოლს რომ ყური დაუკდო, დღეში ათჯერ გატყდებაო“.

გატყდა თუ არა „ტალღის“ მესამე ნუმრის მეთაურის ავტორი და მისი თანამშრომელი „მუშა ბილილა“ ეს მკითხველებისათვის მინიდვია!..

მაგრამ, ვიმეორებ: ერთხელ კიდევ, მოვა დრო, „მუშა ბილილებს“ თვალები აეხილებათ და მაშინ თვითონვე ამოიკრავენ ცხეირში ხელს.

მინამდი კი ჩვენ ვიელით ჩვენის გზით —ჩვენის ხალხის, დემოკრატიის, (და არა სოციალ დემოკრატების, რასაკვირველია,) გამოფხიზლებისა და აღორძინების გზით...

აა ეკალაძე.

ქუთაისი.

ახალი ამბავი.

როგორც გადმოგვეცა, ოთხშაბათიდან 16 ივნისიდან პირველ კერძო სპეკტაკლსტ ქქიმთა სამეგრელოში, ყოველდღე მიიღებს შესაგებ და ნეკრებთან ავთმყოფებს ხარკოვის საამბულატორო უნივერსიტეტის პროფესორი ვ. ბ. მოსეშვილი.

✦ 12 ივნისს გელათში გაემგზავრა ყოველდასამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზი გიორგი მონასტრისა და საეკლესიო მამულების დასათვალიერებლათ. ყ.დ. სამ. გიორგიმ დაათვალიერა აგრეთვე დავით აღმაშენებლის საფლავი და საჭიროთ იცნო მის საფლავთან კედელზე დახატული ყოფილიყო დავით აღმაშენებელის დიდი სურათი, როგორც დიდ ეკლესიაში არის, აგრეთვე დავითის მოძღვრის, კათოლიკოსის **ეგდიმასის** სურათიც ყოველდასამღვდელოს ოსტატებისთვის სურათის გაკეთება კიდეკ შეუკვეთია.

✦ 13 მაისიდან რეალურ სასწავლებელში გაიხსნა სახალხო მასწავლებელთა საგიმნასტიკო კურსები. კურსებზე ორმოცამდი მასწავლებელია. პირველ დღეს სახალხო შკოლების დირეკტორმა მოკლეთ აუხსნა მასწავლებლებს კურსების დანიშნულება. შემდეგ ექიმმა ტყეშელაშვილმა, რომელიც მიწვეულია ანატომიისა და ჰიგიენის ლეკტორათ საკმაო ვრცლათ განუმარტა კურსისტებს ჯანმრთელობისათვის ფიზიკური ვარჯიშობის მნიშვნელობა.

✦ 22 ივნისს ქალაქ ფოთში ი. მშედლიშვილი გამართავს სალიტერატურო საღამოს, რომელზედაც მონაწილეობას მიიღებენ: გრ. ლაღიძე, გუკა, კახელი მწყემსი (დაუკრავს სალამურს), ი. მშედლიშვილი და სხვა...

✦ როგორც დ. დ. ხონიდან და სამტრედიიდან გვატყობინებენ, აბრეშუმის პარკი პირველი ხარისხის 20 მანეთად იყიდება.

✦ წ. კ. გამ. საზოგადოების კუთ. განყოფილების გამგეობას უარი უთქვამს გურიიდან აღძრული შუამდგომლობაზე სოფ. აკანაში, სად. ნატანებში და ზემო ჩიბათში (ოზ. მაზრა) წიგნსაცავ-სამკითხველოს გახსნის შესახებ.

✦ ერთი კვირაა ქუთაისში იმყოფებოდენ და გუშინ ისევ მოსკოვს გაემგზავრენ, მოსკოვიდან ჩამოსული ოცი გერმანელი მოწაფე თავის ხელმძღვანელით. იმათ შემოიარეს მთელი ქუთაისი, დაათვალიერეს ბაგრატის ტაძარი, წყალწითელას კოდეები გელათისა და მოწამეთის მონასტრები.

✦ 13 ივნისს ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკში მოხდა ქუთაისის გუბერნიის მამულების პირველი საჯარო ვაჭრობა. გამოცხადდა სულ 85 მამული. აქედან 6 მამული გაიყიდა და 79 მეორე ვაჭრობისთვის გადაიდეა

აგერ ხუთი დღეა, რაც ქუთაისში სოფლებიდან აბრეშუმის ჭიის პარკი შემოდის. როგორც ამბობენ, წელს პარკს კარგი მოსავალი ჰქონია. პარკის ფასი წელს შარშანდელზე ბევრათ მეტი არის. პირველ დღეს კარგი პარკი 16 მანეთად ფასობდა, 14 ივნისს — კი პირველი ხარისხის პარკი გაყიდულია 19 მან. მეორე ხარისხის — 18 მან. და მესაამე კი - 16 მან.

✦ წელს მოსკოვის უნივერსიტეტის, იურიდიული ფაკულტეტი სულ 10 კაცს დაუსრულებია. მათი გვარებია: ჯ. არტიშვილი, პ. ბარათაშვილი, ჯ. გაფრინდაშვილი კ. კანდელაკი, ვ. მგალობლიშვილი, (პირველი ხარისხით), მ. მდივანი, ნ. მიქელაძე, მ. საბახტარაშვილი (პირველი ხარისხით), ცისკარაძე და ს. ჭემბუხაძე (პირველი ხარისხით).

✦ როგორც კერძო დეპეშებიდან გავიგეთ, ქ.ქ. შუშაში და ნუხაში აბრეშუმის ნედლი პარკი 22 მან. ფასობს, ხოლო საზღვარგარეთ კი ქ. მარსელში 68 მანეთად.

✦ ჭიათურის სამოქალაქო ექვსკლასიან სასწავლებლის მოწაფეებს ექსკურსია უკვე დაუთვალიერებიათ. ისინი ყოფილან: ქ.ქ. ბაქრში, თფილისში, ბათომში, ჩაკვაში, გელათში, მოწამეთაში და სხვაგან. სულ მათზე დახარჯულა 749 მანეთი.

✦ ჩვენმა რედაქციამ მიიღო ასეი იმ განცხადებისა, რომელიც კბილის ექიმთა საზოგადოების თავჯდომარეს ვ. ი. ჭიპინაძეს წარუდგენია თფილისის თვითმართველობისთვის. განცხადებაში დასაბუთებულია თუ რა ცუდი შედეგები მოსდევს კბილების ავთმყოფობას სასკოლო ასაკის ბავშთათვის და გადადის კბილების სასკოლო საექიმო კლინიკის დაარსების საჭიროებაზე, როგორც ეს საზღვარგარეთის სახელმწიფოების ზოგიერთ ქალაქშია. განცხადებაში აგრეთვე სტატისტიკურათ და პროცენტიულათ გამოანგარიშებულია თუ რამდენი ბავშია ავთმყოფი კბილებით. მაგ., დანიაში — 99 პროც., ანგლიაში — 95 პროც.; იტალიაში — 92 პროც.; ნორვეგიაში — ავსტრიაში — 99 პროც. შვეიცარიაში — 91—100 პროც. და რუსეთში — 82 პ. ასეთი ორგანიზაციის მოწყობა აღსარებულია აუცილებელ საჭიროებათ ხალხის ჯანმთელობისათვის. კბილების საექიმო

მეცხვარე.

ძალს მისცემია ირგვლივ მთა ველი,
არ სძინავს სადღაც მხოლოდ მეცხვარეს;
მის სალამურის დუღილნი ნელი
აკრთობს, აღვიძებს სოფელს მძინარეს.

—

ვერ ახლის ცოცემლთ ფრქვევით ცას ეცინება,
ბალს მკერეს უგმირავს სხივთა ნესტარი
და ხმა ნარნარი ტყეს ეფინება,
ვით ბეთოვენის ჰიმნი ნეტარი!

— —

დაუკარ ტკბილათ, შრომისა შვილო,
მაგ ხმებს ეს გულიც გაიზარებს,
თუმცა კი ვჩივი, ჩემო ძმობილო,
რომ გულში მიშლის მხოლოდ იარებს!

— —

ვიცი ძმავ, ეგ ხმა, ხმა საამური
უძილო მწყემსის ტკბილი ნანაა;
სხვას კი რას უბნობს ეგ სალამური —
ეს ჩემთვის მხოლოდ ჰამოცანაა!

— —

ბედნიერი ხარ, ჩემო მეცხვარე,
რომ თავისუფლათ უკრავ სალამურს,
სადღაც ცხვართ შორის ობლათ მჯდომარე
ართობ ღამის ფიქრს, ფიქრს სევდით ნაწურს.

— —

მე კი რათ ძინდა მეტყველი ჩანგი,
თუ კი დუმილით დამიტანგდება
და სევდის ცეცხლით ნაშობი ჰანგი,
იქვე მოკვდება, სადაც გაჩნდება!..

მ. უზნაძე.

თფილისი

ქართულ სტენის მოდაყვნეთა ერილობა.

12 ივნისს ქრ.

კრება იწყება საღამოს 8 საათზე თავჯდომარის ამხანაგის კიტა ხაშაძის თავჯდომარეობით.

წარსულ კრების ოქმს ამტკიცებენ. ქართული ენა ქართულს თეატრში. როგორც ვსწერდით, ამ თემაზე წინა დღით მოხსენება წაიკითხა ა. ავალიშვილმა. ამ მოხსენების გამო პრეზიდუმი კრებას რეზოლუციას უდგენს, რომელსაც კრება ასწორებს და შემდეგის რედაქციით იღებს:

„ყრილობამ მოისმინა რა ბ-ნ ავალი შვილის მოხსენება და მიაქცია რა ყურადღება მას რომ ქართული ენა ჩვენს სცენაზე ცუდს მდგომარეობაშია, გადაწყვეტა: ეთხოვოს დრამატიულ საზოგადოებას, მიაქციონ ყურადღება დრამატიულ წარმოებათა ენის სიფაქიზეს და მოეთხოვოს არტისტებს ქართული ენის სრულ სიმართლით დაცვა. ამისთვის ყრილობა, სხვათა შორის, აღნიშნავს შემდეგს ღონისძიებას: ა) სცენაზე მიღებულ-ოდეს მსახიობები საჯარო [illegible] ქართულ ენისა და ლიტერატურის [illegible] ნაში; ბ) მოეთხოვოს დრამატიული [illegible] ობებს, რომელთაც დეფეკტები აქვთ ენის ცოდნაში, ეს ნაკლი აიშორონ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მიმართ იქნება მიღებული რეპრესიული ღონისძიებანი (შენიშვნები და ჯარიმები); გ) სცენაზე და დრამატიულ ლიტერატურაში გამატონებულ უნდა იქნას ქართული სალიტერატურო ენა და განდევნილ უნდა იქნას პროვინციალური ტარგონი, თუ თვით პიესაში ზოგიერთ მომქმედ პირის როლი საგანგებოდ არ არის სხვა კილოთი დაწერილი ავტორის მიერ; და დ) დრამატიულ საზოგადოებებს ეთხოვოს, არ დართონ ნება ისეთ პიესების დადგმისა, რომელთა ენაც შესწორებულ და მოწონებულ არ იქნება საგანგებოდ ამისთვის მოწვეულ სპეციალისტების მიერ“.

რუსეთი.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

სლავოჩინსკის, მაკროგოსა და სხ. პასუხისგებაში მიცემა.

გაზ „ბირჟ. ვედომ“-ის სიტყვით, სენატის პირველ დეპარტამენტში განიხილეს საქმე, კაკალისაში მეფის მოადგილის მიერ აღძრული ქუთაისის ყოფილი გუბერნატორის სლავოჩინსკის, ვიცე-გუბერნატორის მაკროგოს, საგუბერნო სამართველოს ორი „სოვეტნიკისა“ და საგუბერნო ადმინისტრაციის სხვა მოხელეთა პასუხისგებაში მიცემის შესახებ. სენატმა განიხილა-რა ქუთაისის საგუბერნო ადმინისტრაციის მოკმედება დადგინა: მოხდეს წინასწარი გამოძიება აღნიშნულ პირთა და აგრეთვე საგუბერნო ინჟინრის შტამბერგისა და სვანეთის გზის მკეთებლის — ტრეიერის მიერ ჩადენილ დანაშაულთა შესახებ. პირველნი სამართალში ეძლევიან სისხ. სამართ. 341 მუხ., ხოლო ტრეიერი, ამ მუხლს გარდა, 364—362 მუხ. ძალით. (რ. ს.).

უცხოეთი.

ალბანეთის ამბოხება.

ფურტოში დილიდანვე ყველა მამაკაცი 14—50 წლამდი ქალაქს გარეთ მუშაობს თხრილებისა, ტრანშეებისა, მავთულებიან ღობისა და სხ. გასაკეთებლათ. დუქნები და სახლები დაკეტილია. ქუჩები დაცარიელდა. მეცხოვრებლებს სამუშაოთ ერეკებოდენ შეიარაღებული ნაციონალისტები და პოლიციელები. პოლიციელებმა შეიპყრეს პეტერბურგის საგენტოსა და გაზ. „მატენ“-ის კორესპონდენტები, რომელთაც კომენდანტი კრონი მკვახეთ შეხდა და უბძანა სამუშაოთ

— არა ჯერ, თქვენ, ჯერ თქვენ.

— კარგი, ასეცაც იყოს! თუნ ხელოვნურათ ვერ გიამბოთ, მაპატიეთ. მე გადმოგცემთ ერთ ძველ თქმულებას, თქვენ კი თქვენებურათ გაალამაზეთ.

თავადმა დაიწყო.

ის იყო კველათ.

იგი სხვაა, სიძვა სხვაა
შუა უხის დიდი
მხლეარი. შოთა.

ბევრია მრავალფეროვან საქართველოში ხელისგულივით სწორი, თვალუწვდენელი, რბილ ნიადაგიანი ველი, ბუნებისაგან განვებ საბუროთათთ, საჯარითოდ და მეომართა სავარჯიშოთ შექმნილი; მაგრამ ძვირია ისეთი, როგორიც არის „სალი გვერდათ“ წოდებული.

მდინარის პირათ გაშლილი მინდორი; შორიდან შავათ მაკქერალნი სალი კლდეები გზაენინ გრილ სიოს მობერთალთა, მაცდეკვართა და ფალავანდთა სულის მოსაბრუნებლათ. წრეთ შემოვლებული ცაცხვები კარავათ აღგია თავს მოხუც მბაასეთა, მანდილოსანთა (ა პაწია ბავშვთა სოზოგადოებას. ბუჩქები, ერთმანეთში გადახლართული ეკალი საუკეთესო ბარიერია სიმაღლეზე სახტომათ; აქა-იქ ტბათ ჩამდგარი წყალი ამყლავნებს სიერცეზე გადახტომის უნარს ცხენისას და ქვეითისას; ორ ადგილას ბორკა ვარდება ქვეით ფხვიერი მიწა და კი სადავის დაჭერა უნდა, რომ ცხენი არ წამოიქცეს მხედარს.

აქ იყრიდა თავს ტამსა მას „წ სამარადისოთ წარსულსა იმერეთის უმაღლესი წოდება, აუარებელი მხლებლებით, მუსიკოსებით, მგოსნებით. ნადირობას ნადიმი მოსდევდა და ნადიმს ჯირითი, ცეკვა, ჭიდაობა და ბუმბერაზობა. პირველად აქ მოდიოდა საზოგადოებაში გამოსასვლელი ახალგაზდა ქალი და ვაჟი; აქ ისვენებდა, გულით ხარობდა ახალგაზდათა სიტურფითა და სიჩაუქით ომში სისხლ დაცლილი, ცხოვრებით დაღლილი მოხუცი, აქ პატარეები ეცნობოდენ ზრდილობას, მოხდენილს ლაპარაკს, შორეულ მეგობრებს და მტრებს. აქ ისვენებდა ნამდვილი სიყვარული, რომელიც წლობით გრძელდებოდა... ხალხი დღე და ღამ ბუზივით ირეოდა.

ამ დღეობისთვის არჩევდენ სავსე მთვარის ერთ კვირას.

***

ერთ დილას თეო, რომელიც ჯერ სოფელ ქვეყანაში არ იყო გამოყვანილი, თავის ორიოდე მხლებელით ცხენით სეირნდოდა. გაიტაცა დილის სხივმა, ცვარით აბრეყვალებულმა ბოლმა და ცხენს ნაზი ხელის მთელი ძალით მათრახი შემოჰკრა. გახტა ცხენი... თმის გაშლამ, სიომ, ჩქარმა სულისთქმამ, მოხიბლა ბავში... და მიატოვა სადავე. ცხენი მიჰქროდა. შორს გამოჩნდა გორაკის ძირათ რუს გამოხრული ხრამი.

— შეაჩერე, ქალბატონო! — მიაძახეს მხლებლებმა. გახურებული ცხენი არ დაემორჩილა სუსტ ხელს.

მხლებლებმა ცხენები ყალეზე გააჩერეს. არ იცოდენ რა ექნათ. დაწვეთ ვერ დაეწეოდენ... და ქალბატონთან ერთად ხრამში გადავარდნას ყოველთვის მოასწრებდენ.

შეშინდა ბავში, დახუჭა თვალი.

უეცრათ მთის თხემიდან დაეშვა უცნობი მხედარი. ქენებით ჩამოიყვანა ცხენი, ჭკრა ქუსლი და ხრამზე გადმოეკლო... წინ დაუდგა თეოს ცხენს და აღვირში ხელი სტაცა. ერთ წამს ასე იდგენ.

მერე ცხენოსანმა ბავშს ხელი წელზე მოხვია და უთხრა:

— ნუ გეშინიათ, გამაგრდით ცხენზე და აბეანდში ფეხი გაუყარეთ.

— მე კი თავი მკვდარი მეგონა... — ძლივს წარმოსთქვა ბავშმა.

-- განა ღმერთი გასწირავს ასეთს კარგ ბავშს?

ქალმა — ბავშმა, რომელიც უკვე დიდობას ჩემობდა და ბავშობით მიმართვას არ სიამოვნებდა, ახლა გული მოიცო; უეცრათ ფერი დაუბრუნდა და უთხრა:

— თქვენ როგორღა გამბედეთ აქით გადმოხტომა.

— აღმართიდან დაღმართში ბევრათ უფრო დიდზე ხტება ცხენი — აი თქვენი ცხენისთვის კი ძლიერ გასაკირი იყო.

ქალს მოეწონა თავდაბალი სიტყვა.

— გმადლობთ! ძლიერ გმადლობთ!

— პირიქით მე ვარ მადლიერი, რომ ცოტა სამსახურის გაწევის შემთხვევა მომეცა.

ორივე უკან ბრუნდებოდენ. მხლებლები მოწიწებით მოყვებოდენ მათ.

— თქვენ ვინ ბრძანდებით? — დაეკითხა ქალი.

-- მეფის ერთგული!

ქალმა შიშით და უსიამოთ შეხედა ყმაწვილს.

— თქვენ?

— პაპუნას ქალი!

— მშვიდობით, პაწია ქალბატონო! — მხედარი ცხენზე გადმოხტა, ღრმა სალამი მისცა ქალს და... ჯენებით წავიდა.

მამის ცხოვში მარტოთ, უტოლ-მეგობროთ დარჩენილ თეოს, არ ავიწყდებოდა მხსნელი უცხო მხედარი... განსაკუთრებით ახარებდა, რომ სირცხვილი არავინ იცოდა; მხოლოდ, როცა დადიანს სასახლეში მიიყვანეს და ახალგაზდობა თავს ეკლებოდა, სურათი მთიდან ჩამოფრენილი მხედრისა ნელ-ნელა ჰკარგავდა ფერს და ავიწყდებოდა გონებას. მაგრამ უეცრათ, რაღაც საქმის გამო მეფის, ერთგულიც გამოჩნდა სასახლეში.

აქ დაუახლოვდენ ერთმანეთს, აქ მოსცეს ერთმანეთს სიტყვა.

სიტყვას ქალისას ისე დაენდო ვაჟი, როგორც მთის სიტურფეს და ვაჟის სიტყვას კი ისე დაეყრდნო ქალი, როგორც ბზის ყვავარჯენს ბაჟა.

დრო იგი უცნაური, გაუცდელი, დაუნდობელი და დაუდგრომელი იყო.

შემოდგომაზე სიკვდილის წინ აირეკა ბუნება. ქარი აზიზუნდება; აქ აილებს კორიანტელს და იქ მიაყრის; ყავარს ხეზე გადებს, ხის ფოთოლს მაგიდას დააყრის, ისეი წყაროს ფარავს და წყალით ივსება აივანი.

ისეთ წამს, რა სხვილი თვალი არ იყოს, ვერ გაიგებს, ვინ ვის ეკუთნის, საიდან რა არის ჩამოტანილი.

ასე იყო მაშინ საქართველოშიაც, არავინ იცოდა, როცა ეხვევოდა მეორეს, ხელ საწამლავს მიაწოდებდა თუ ხანჯალს ჩაჰკრავდა.

ყოველ კუთხეს მეტი თუარა, ორი მეფე ჰყავდა, ოთხი-ხუთი მთავარი, ათი-თორმეტი მოურავი, გამგე და სარდალი.

ერთ მეფეს ნიშნავდა ყაენი, მეორეს ხვანთქარი, მესამე რომელმე მათგანის წინათ დანიშნული იყო; მეოთხეს ყველაზე მეტი შთამომავლობითი უფლება ჰქონდა ტახტზე. დიდებულთა მიერ კეთილნი მიწკეულს იმერეთში ჰქონდა უფლება კანონიერ მეფედ ყოფილიყო, მაგრამ სამღვდელოება ეწინააღმდეგებოდა. მეფის მიერ დანიშნულ სარდალს არ ემორჩილებოდა ყაენის მიერ დანიშნული ათასის თავი; ხვანთქარის მიერ მდივან-ბეგათ გამოგზავნილი ცდილობდა საერისთავო ხელში ჩაეგდო. გურული ხელშეკრულთას ჭრავდა ქართლის მეფესთან, ქართლის დიდებულნი ყაენის სარდალთან...

ვინ იყო მართალი, არავინ იცოდა. ტყეელია თითქოს ყველა თავისკენ იზიდებოდა, მაგრამ შეუძლებელი იყო ნათლად გამოერკვია კაცს, როგორ მოქცეულიყო. ხშირათ, რაც ღალატს, მამულის გაყიდვას ჰგავდა, სწორეთ მამულის ბედნიერებისათვის იყო ნამოქმედარი.

ლობა, სხვათა შორის, აღნიშნავს შემდეგს ღონისძიებას: ა) სცენაზე მიღებულ-ოდეს მსახიობები საჯარო [illegible] ქართულ ენისა და ლიტერატურის [illegible] ნაში; ბ) მოეთხოვოს დრამატიული [illegible] ობებს, რომელთაც დეფეკტები აქვთ ენის ცოდნაში, ეს ნაკლი აიშორონ, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მიმართ იქნება მიღებული რეპრესიული ღონისძიებანი (შენიშვნები და ჯარიმები); გ) სცენაზე და დრამატიულ ლიტერატურაში გამატონებულ უნდა იქნას ქართული სალიტერატურო ენა და განდევნილ უნდა იქნას პროვინციალური ტარგონი, თუ თვით პიესაში ზოგიერთ მომქმედ პირის როლი საგანგებოდ არ არის სხვა კილოთი დაწერილი ავტორის მიერ; და დ) დრამატიულ საზოგადოებებს ეთხოვოს, არ დართონ ნება ისეთ პიესების დადგმისა, რომელთა ენაც შესწორებულ და მოწონებულ არ იქნება საგანგებოდ ამისთვის მოწვეულ სპეციალისტების მიერ“.

ასეთს დროს საქმის დაწყება და გათავება არ შეიძლებოდა.

გაიოზ უკვე აპირებდა თეო ეთხოვა, რომ უეცრად სპარსეთში წასვლა მოუხდა.

დარჩა ქალი.

მოხუც მამას შეუჩნდენ...

„გვიხსენი, დაგვამყარე ფრიდონსო“.

დათანხმდა მამა!

ქალმა ჯერ უარი სთქვა.

რა გაუვიდოდა?

დასწეოს ჯვარი.

დაბრუნდა გაიოზი.

ჩაიკეტა კარები.

***

გაიოზი დიდი ძლიერი თავადი იყო. იგი არ ერევოდა ამ ქვეყნის არევ-დარევაში. მისდა ბედათ ვერც ლეკი, ვერც სპარსი და ვერც ოსმალო ვერ უდგებოდა ბუნებრივად დაკულს და ცხენებით მედგრათ გამაგრებულს სამფლობელოს.

უბრალო ტუტუცობისათვის მეზობლებს, მესამზღვრეებს არ უტეხდა ალიაქოთს; მაგრამ ერთხელ, როცა ორი გლეხი აუწოიკა რაკის ერისთავმა, დაჭირა მისი მოურავი და ჩაფრები დასჯრა ყველას მარკოფნა ხელი და გაუგზავნა.

მას მერმე არც არავინ ედავებოდა და არც არავის ესხმოდა თავს.

მეფის ერთგული იყო.

სახელიც ავრე ერქვა.

ხშირათ აგზავნიდა მეფე ელჩათ.

დაიმდებული ხალხი ამბობდა: მისდა უნებურად ცხის კედელზე ჩიტი ვერ გადაფრინდებოო.

ერთი ხანია ხალხმა დრტვინვა დაიწყო.

აი რას ამბობს გაიოზზე ერთი ხალხური ლექსი:

მეზღვრებში წყალი ჩაუდგა
ცხენებს; თოფის წამალი ხდება
სარდაფში; ძაღლებს აღდო ეკარგებათ;

სავაჭრო სახლი **ი. გოკიელის** შვილების ქუთაისში. შაბიანის სთოსი

მეგენახეთა საყურადღებოდ. მიდებულია და იყიდება **ძლიერ ზომიერ ფასად** ნამდვილი ინგლისური **ფაბიანი,** უმაღლესი ხარისხის **გოგირდის ფხვნილი, ეკალენის სიოხტი** ენახების საქმიო **მანქანები ვერმორელისა და პლატაციისა, გოგირდის საბერვლები.** მახქანების ყოველგვარი რეზინებისა და სხვა მოწყობილობა.

დეკო. ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და ელექტრონის მოწყობილობა ქ. ქუთაისში. **ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძისა.** **მოხაილოვის ქუჩა,**

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმარტურა და მისი მოწყობილობა; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სადავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე, მოგვეპოვება ავრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთისსამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის „ვიკანდერ და ლარსონის“ და სხვა პანინოები და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულია ნაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია. ელექტრონის მოწყობას თვალყურს ადევნებს ჩვენგანთ სპეციალურად მოყვანილი ხარკოვში უმაღლესი სწავლა დამთავრებული ელექტროტექნიკი. პატივისცემით ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძე.

დეკო. ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და შკალიერისა ქ. ქუთაისში. **ფ. ს. ფილიპოვისა.** **ალექსანდრეს ქუჩაზე,**

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმარტურა და მისი მოწყობილობა; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სადავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოვება ავრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები. იატაკზე საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის „ვიკანდერ და ლარსონის“ სამუსიკო ინსტრუმენტების (საკრავების), საკლესიო სამკაული და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულია ნაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია. პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვისა.

გასვლა. კორესპონდენტებმა პროტესტი განაცხადეს. მაშინვე შეიკრიბა საკანტროლო კომისია, რომელმაც კრონს განუცხადა, რომ მისი განკარგულება სრულიად არ შეეფერება კაპიტულაციის უფლებას და მოითხოვა იმ მუხლის გაუქმება, რომელიც უცხოელებს ეხება. კომისიამ განაცხადა, რომ ჟურნალისტები განსაკუთრებულ პირობებში იმყოფებიან და მონაწილეობას ვერ მიიღებენ ქალაქის დაცვაში.

სამხრეთით ხმები მოდის, რომ ფიერი მეამბოხეებმა აიღეს. ჯერ ვერ შეამოწმეს მათი გალაშქრება ვალონისაკენ.

მეამბოხენი სწრაფად მიეგზავრებიან. სამხრეთისაკენ. ელბისანი აღებულია. ამ ცნობამ მართველზე და მთავრობაზე საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა. 10 ივნისის განკარგულებამ, რომ სამუშაოთ გამოწვეული იყოს ყველანი 14—50 წლამდი დიდი მღვოვარება გამოიწვია. ელბასანის აღება ამბავი ჯერ მცხოვრებლებმა არ იციან; პირიქით ხმები დაყარეს, რომ დურაკოს პრენკიბ.-დოდას მირიდატები უახლოვდება.

მეამბოხეებმა ბერათი და ფიერი აიღეს, ვალონასთან შეტაკება ხდება, მთავრობის ჯარები მარცხდებიან. ხვალ გადამწყვეტ ბრძოლას მოელიან. ქალაქის აღება უეცველია. სკუტარში საერთაშორისო დესანტის უფროსი პილიპსი ჩამოვიდა. სკუტარისა და მის ახლო-მახლო მდებარე მაამბოხეთა ოლქების ბანწყობილება სანში. დურაკოდან შიაქში მოქალაქეთა დეპუტაცია გიმეზავრა: ხუთი მაჰმადიანი, ერთი მართლმადიდებელი და ერთი კათოლიკე ღვდელი კაჩორა. შიაქში მას უთხრეს, რომ მოლაპარაკების დაწყება შეუძლებელთან მიანჩიათ, ვიდრე დაპყრობილ ელბასანიდან დელეგატები არ მოვლენ. გარდა ამისა, მოლაპარაკების გამართვამდი დურაკოდან განდევნილი ~ნა იქნეს ყველა მოხელე, რომელნიც ამ ოლქს არ ეკუთნიან. მთავრობა დასთანხმდა ზავი განაგრძოს სადამოს 12 ივნისამდი. განწყობილება ქალაქში აუტანელია. დღეს მოქალაქენი კვლავ გარეკეს ტრანშეებზე სამუშაოთ. საგრძნობელი გახდა სანოვაგისა და გასათფობი მასალის სიკოტავე.

დაბა-სოფელი.

სოფ. ყანი და სხვანი (ზემო იმერეთი). ეს სოფლები მდებარეობენ მთის ძირთ და ბუნებით შემკული და დაჯილდოებული არიან, მაგ., ზოგიერი წვინდა ბალი, ძალიან სასარგებლო ადამიანის ჯანმრთელობისთვის; მიწის ნიადაგი მომცემი და მოსავლიანი და სხვ. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, მცხოვრებნი გაჭირვებას განიცდიან, რადგანაც მიწის დამუშავება პრიმატიული წესით ხდება.

შარშანდელმა ვვალ-ამ აქაც დაიჩინა თავისი კვალ; წრეკვანდელმა მუდმივმა წვიმებმაც ნათესობა გაფუჭა: რაც დამუშავებული იყო, სულ მთლათ წალეკა წყალმა.

აქ არსებობს ერთკლასიანი სამრეველო სკოლა, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მცხოვრებთა მოთხოვნილებებს. წასულ მარტში მიხდა საზოგადოების ყრილობა ორკლასიანი სახალხო სკოლის აგრონომიულ ნაწილთან გახსნის შესახებ. ყრილობამ შესაფერი განაჩენი დაადგინა და წარადგინა, სადაც ჯერ არს. განაჩენის შედეგი ჯერ არ ვიცით.

ამ ორ სოფელს შუაზე ჩამოუდის ერთი პატარა მდინარე „ჯონჯურა“. ეს მდინარე ზაფხულობით თითქმის სულ შრება, მაგრამ ნვიმიანობის დროს კი ძალიან ადიდება იცის, ასე რომ წელს თითქმის ზამთრიდან დაწყებული სულ ადიდებული არის! და არათუ ფეხით, ცხენითაც გასვლა შეუძლებელია. ამ მდინარეზე ხიდის გაკეთება დიდ საჭიროებას შეადგენს, ვინაიდან ადგილობრივი მცხოვრებებისა და ავრეთვე შორიდან მომავალი მგზავრნი უამბიდოთ მიმისვლა შეუძლებელია. ამ სოფლებზე მდებარეობს სახელმწიფო შარა გზა და მგზავრი მუდამ გამოულელია.

სასურველია, ამ ხიდის გაკეთების საქმეს მთავრობა მიაქცევდეს ყურადღებას, დაეხმარებოდეს ამ სოფლებს და ამით ხელს შეუწყობდეს ამ მდინარით შეიწროებულ ხალხს.

ვახელა.

სასახლის ეზო მიდუმებული;
ყოველ ყოველი აღარ ესმის.

* * *

ფარა ნადირმა გაგვინადგურა;
მტერმა წაგვართვა საძოვი მთები;
ჩვენსა მამულზე სხვამ გაიშენა ციხე;
ქალაქი, ფაცხა—სადგომი.

* * *

— რაინდო საკვირველო, სანდო
უებარო
რათ დაგვიჟანგე რხმალი? რათ
ჩაიკეტე
კარი? რათ აიღე ხიდები? არ
გაგონდება
ძველი თავდასხმა ულმობელი,
არც მანდილოსანი სარკმლის ქვეშ
ნელ-ტალილი მუხამბაზი?

* * *

ასე იმღეროდა ხალხი.
გაიოზი კი არ გამოდიოდა:
„სენმა ჯვარისამ“ შეიპყრო იგი.— ამბმბდენ დიდებულნი და ცდილობდენ ამ შემთხვევით ესარგებლათ და მეფის თვალში გაიოზი ორგულათ დაესახათ. წვრილფეხა აზნაურები და მოხეტიალე შეობრები აქ ორიოდე ცხენს გამოიპარავდენ, იქ წაასხამდენ რომელიმე ქვეშევრდომის ფარას, მაგრამ გაიოზი არ მიხდევდა მათ, არ აგზავნიდა მდევარს და თვითონვე ფულით ან მამულით ასაჩუქრებდა დარბეულს.

* * *

მხოლოდ გაიოზის მესაიდუმლე პირისფარეშმა იცოდა ყველაფერი და თეოს ამბავი მას მოჰქონდა, ისიც ძლიერ იშვიდათ... იცოდა გაიოზმა, რომ თეო კარგათ არის... ფეხმძიმეთაა... ბავში ეყოლა... გიგო, რომ თეო დედასთან წასვლას აპირებდა...

გიგო და ჩაფიქრდა...

* * *

პატარა ღელეები გველის წოწოლებიანი იკლაკნებიან ერთმანეთს ეხლართეპინან და ერთ მდინარეს ადგენენ.

მდინარის პირად მიპრიალობდა სამი არაბა-ურემი, ორმოციოდე დაიარაღებული ცხენოსანნი გარს შემორტყმული. გზა შუა ტყეში იყო.

უკან ტყიდან გამოვიდა ბერი.

— ფარსადან!—დაუძახა ქარავანს ბერმა.

— რა გინდა, წმინდა ძმავ—შორიდგან მისცა პასუხი ახალგაზდა ყმაწვილმა.

— მოიწიე, სიტყვა მაქვს.

ფარსადანმა ცხენი მიაჭენა.

— რა გნებავს?

— ვერ მიცანი?— და ბერმა ჩამობურული ბაშლაყი გადიხადა.

— გაიოზ!...—შეჰკივლა ფარსადანმა

— ჰო! უნდა დამეხმარო...

— რაში?

— ბავში უნდა მომატაცებინო, ნებით სჯობია, თორემ აქაურობას ამოვწყვეტ. შენ გაფიცული ხარ ჩემთან... შენს სინდისს ვენდე—არ მიღალატო...

— ბატონს კი უღალატო?

— ბავში ერთადერთი ჩემი საჩუქარი იქნება... ხომ იცი, რაც დავიტანჯე.

— რას ბრძანებ? ბატონს შვილი წაართვა და შენ მოგცა, უცხო კაცს?!.

— არ ვარ უცხო... შენს ბატონს თეო ჰყავს, ყველაფერი აქვს... მე კი არაფერი არაფრად მიმაჩნია...

— ბავში ხომ მისია!—ფარსადანს არ ესმოდა მთელი ეს მუსაიფი და თითქოს ძილშიაო ისე უპასუხებდა ძმად-გაფიცულს გაიოზს.

— კი ბუშმარიტად, მაგრამ მე ვეძებ თეოს შვილს. მის გზაზში ვპოვებ ჯილდოს, ვინაზღაურებ დაკარგულს.

— არა! არ შემიძლია!..

— მაშ დამიხვდით. იყვირე! და გაიოზმა ცხენი ქარავანისკენ გაუჭენა.

აღარ იცოდა რა ექნა ფარსადანს. ეყვირა და ნაფიცი ძმა როგორ გაიცა? არ ეყვირა და... ამიტომ ტამბაჩა გაისროლა. ბერი მიაკენებდა ცხენს.

ქარავანიდან რამოდენიმე ცხენსანი გამოექანა.

— რა მოხდა?

— ტყეში მტერია! იცოცა გაიოზმა— ბევრია... შეიჭერეთ, სანამ მე ქალაბატონს მივმალავდე ადმე.

ცხენოსნები ტყეში შეცვენდენ მტრის საძებრათ... გაიფანტა-გამოიფანტენ.

— ურემთან, სადაც თეო იჯდა ორი ყარაული-ღა დარჩა.

— უშველეთ თავს დაიძახა ბერმა... მტერია. ამ ბავშს მე მონასტრაში მოვიყვანი და ქალბატონი თქვენ დაიცავით. ასე ახლოს თვით სასახლისთან თავდასხმას არავინ მოელოდა, ყველა დაიფანტა.

— თეო ჰკითხეთ: ბავში, ბავში.

— ბატონო ასე სჯობია... მონასტერი ახლოა ხელს ვერავინ ახლებს... მაგ ბავშის დაპატარა სურს მტერს, თორემ ჩვენ არც გვერჩიან.

ფარსადანმა შეხედა რომ ბერათ გადაცმული გაიოზი ბავშს მთის კალთებზე მიაქროლებდა... ვერაფერი მოახერხა... ვერაფერი მოახერხა, გადმოიღო თოფი და თვით ხახაში იკრა. ამან სრულებით დაუბნელა გონება მხლებლებს და ქალებს.

წვიალ-ყიელში, თოფის სროლაში, უნაყოფოთ მტრის ძებნაში გაიოზი მიიკარგა.

გაგზავნეს მონასტერში კაცი.

დაჩხრიკეს ყველაფერი.

ბავშვი და ბერი გაქრა.

(დასასრული იქნება).

ს. გ ძე.

რედაქტორ-გამომცემელი **გ. ჭელაძე.**

ქალაქის ამომრჩეველთა საყურადღებოდ.

ქუთაისის ქალაქის გამგეობა ამით ახცადებს, რომ: 1) იმ პირთ, რომელთაც სურთ შეტანილ იქნეს საბოლოო საარჩევნო სიაში და მონაწილეობა მიიღონ ქუთაისის ქალაქის საბჭოს **ხმოსანთა არჩევნებში** მომავალი ოთხი წლისთვის (1914—1918 წ. წ.), საქალაქო დებულების მე-8 მუხლის თანახმად, **უსათუოდ უნდა შემოიტანონ მათზე დარჩენილი საქალაქო გადასახადის „ნედლიმაქალი“** ნახევარი წლის გადასახადზე მეტი.

2) ის პირნი, რომელნიც საბოლოო საარჩევნო სიაში არ იქნებიან შეტანილი, **არჩევნებში მონაწილეობას ვერ**

3) საქალაქო დებულების 24-ე სტ. მე-17 განყოფ., მე 2 მუხ. თანახმად, **იმ თანამემამულეებმა,** რომელნიც ქალაქის გამგეობის მიერ პირველ საარჩ. სიაში შეტანილი არიან საერთო სახელით „**შეშვიდრეები**“ ამა და ამ პირისა“, უნდა წარმოადგინონ თავის დროზე—და არა უგვიანეს მდგომარე 1914 წლის აგვისტოს 1 რიცხვისა—კანონით დაწესებული საბუთი, სადაც **უნდა ჩამოთვლილი იქნეს ცალცალკე ყველა მემკვიდრე,** რომ ეს მემკვიდრეები შეტანილ იქნენ საბოლოო საარჩევნო სიაში. 5—1

კვეკსიის საშოსწავლო ოლქის მფარველობით

ამავე კურსებთან ინსნება საშუალო სასწავლებლების ყველა კლასის უმაღლესი სპეციალური სასწავლებლებისა, და განსაკუთრებით, მიწისმზომლობისა, სამხედრო სასწავლებლებისა და სამასწავლებლო ინსტიტუტისათვის მოსამზადებელი კურსები. ამის შესახებ პირადათ დაკითხვა შეიძლება კურსების კანცელარიაში. დილის 9—12-მდი და საღ. 8—9 საათამდი.

მისამართი: ფიფდილი, ჭუმკინის ქუჩა, № 8 ტელ. 10—30.

სასლის პატრონთა საყურადღებოთ.

წრეულს თქვენ დაგჭირდებათ შეკეთება თქვენი სახლის, მაშასადამე უფველათ საჭირო იქნება თქვენთვის საღებავი მასალები, თავისთავათ ცხადია, დაიქირავებთ მღებარს (მალიარს) და წაბვალთ რომელიმე სავაჭროში საღებავების საყიდლათ, იმ იმედით რომ თქვენ მიერ ნაქირავები მღებარი შეატყობს საღებავი მასალების ღირსებას, მართალია ეს? სულაც არა! საღებავების ღირსებას თვალით კარგი გამოცდილი ქიმიკოსიც ვერ შეატყობს, მაშ როგორ სჯობია მოიქცეთ? გირჩევთ მიიქცეთ

ძმ. ედ. და პ. საკაშვილების სავაჭროში
ქუთაისში

ბუშკინის ქუჩა, საკუთარი სახლი, რადგან მათ მიერ მოტანილი საღებავი მასალები შემოწმებულია ქუთაისის ქიმიკურ ლაბორატორიაში და აღმოჩნდა საუკეთესო ღირსების. აქვე იშოვით კარის, სარკმლისა და ფეჩის მოწყობილობას, ავრეთვე ალიბასტრს, ცემენტს, სახურავ თუნუქს თეთრისა და შავს, ფანჯრის მინებს შპალიერს და სხვა მრავალს რკინეულ საქონელს.

ნ. ს. ტერკის მაღაზია
ქუთაისში
ველოსიპედები



ყველაზე იაფი.

შინები, ნაწილები და მოწყობილობანი კონკურენციის გარეშე
ყველაზე იაფად
ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება. მოითხოვეთ პრეისკურანტები უფასოთ.

რკინის გზა

ქუთაისიდან მიდის

თფილისს:	ფოშტის დილის	11 საათ. 55 წ.
	ჩქარი ღამით	2 საათ. 57 წ.
	სახალხო დილის	10 საათ. 10 წ.
	სახალხო ღამით	1 საათ. 7 წ.
ბათომს:	ფოშტის საღამოს	5 საათ. 30 წ.
	ჩქარი ღამით	2 საათ. 57 წ.
	სახალხო საღამოს	8 საათ. 35 წ.
	სახალხო დილის	4 საათ. 27 წ.
ფოთს:	სახალხო საღამოს	4 საათ. 14 წ.
	სახალხო ღამით	2 საათ. 57 წ.
	სახალხო დილით	4 საათ. 27 წ.
	ფოშტის საღამოს	5 საათ. 30 წ.
	სახალხო საღამოს	8 საათ. 35 წ.
ზორაპანს:	საბარაკო საღამოს	5 საათ. 00 წ.
ტყიბულს:	სახალხო დილის	6 საათ. 20 წ.
	სახალხო საღამოს	4 საათ. 20 წ.

ქუთაისს მოდის.

თფილისიდან:	ფოშტის საღამ.	6 საათ. 57 წ.
	ჩქარი ღამით	3 საათ. 50 წ.
	სახალ. საღამოს	9 საათ. 44 წ.
	სახალხო ღამით	5 საათ. 50 წ.
ბათომიდან:	ფოშტის დღით	1 საათ. 25 წ.
	ჩქარი ღამით	3 საათ. 50 წ.
	სახალხო დღით	11 საათ. 22 წ.
	სახალხო ღამით	2 საათ. 23 წ.
ფოთიდან:	სახალხო დილით	10 საათ. 3 წ.
	ფოშტის დღით	1 საათ. 25 წ.
	სახალხო ღამით	2 საათ. 23 წ.
	სახალხო ღამით	3 საათ. 50 წ.
ზორაპანიდან:	საბარაკო დილ.	9 საათ. 18 წ.
ტყიბულიდან:	სახალხო საღამოს	7 საათ. 39 წ.
	სახალხო დილით	9 საათ. 38 წ.

სტამბა „ძმობა“, პუშკინის ქუჩა სახლი გოკიელოვის.